№ 12 1877--1895 № 12

ოთხშაბათი, 18 იანვარი 1895

# ივერია

ოთხშაბათი, 18 იანვარი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა

## გამოფენა

დარჩება მხოლოდ ორს კვირას, რომ ყველას ჰქონდეს შეძლება ჰნახოს ჩვენის დროისათვის ორის უდიდესის საკვირველებისა

1) ქონდრის კაცები

ყველაზედ უპატარესნი ცოლ-ქმარნი დედამიწის ზურგზედ

მარკიზ მოლგე, შობიდგან 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუიმი, სიმძიმით $9^1/_2$ კილ.

მარკიზა ლუიზა, შობიდგან 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუიმი, სიმძიმით $10^1/_2$ კილ.

2) ცოცხალნი ბუნებრივად შეხორცებულნი ინდოეთელნი



ტეუპნი-დანი

რადიკა და დოდიკა

ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა



გამოფენა ღიაა ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან საღამოს 10 საათამდის.

ადგილების ფასი დაკლებულია: სკამები 20 კაპ., ფეხზედ დგომით 10 კაპ. ყმაწვილები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის-კაცნი იხდიან მხოლოდ ნახევარ ფასს. (20—6.—9)

ქართული თეატრი

პარასკევს, 20 იანვარს 1895 წ. „ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის" დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ მ. საფაროვისა და ნ. ჯორჯაძის მონაწილეობით

ბენეფისი

გასილ აბაშიძისა

### რევიზორი

კომ. 5 მოქმ. გოგოლისა, თარ. პიპინაძესი

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ტარიელოვისა და სხვ. ბ-ნნი: ჯორჯაძე, აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „გაიყარნეთ", კომედ. 3 მოქმედებად და „სამშობლო" დრ. 5 მოქ. ერისთავისა

რეჟისორი ალ. მესხიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

## ახალი ამბავი

—

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზას გასულ თვეში შემოსავალი ჰქონია 1,532,146 მ. და დაუხარჯავს იმავე თვის განმავლობაში სულ 608,684 მან.

*** კვირას, 15 იანვარს, ტფილისის საქალაქო გამგეობამ განიხილა ხმოსანის ნ. თუმანიშვილის მოხსენება, რომლითაც იგი ეტლების სიარულისათვის ფასების დაკლებას თხოულობდა. მიიღო რა მხედველობაში სხვადასხვა გარემოება და დაადგინა, რომ ეტლის გარდასახადი ფასი დაკლებულ იქმნას მარტო რკინის გზის სადგურიდგან ქალაქამდე 15 შაურის მაგიერად, სამი აბაზი დაწესდესო, სხვა ფასები-კი ისევ უწინდელივე დასტოვა გამგეობამ.

*** ბათუმის ციხის უფროსი გენერალი ოგონონ დაგანოვსკი გუშინ ტფილისში ჩამოვიდა.

*** გუშინ-წინ ციციანოვის აღმართზე ქვის დიდი ზვავი ჩამოწვა. საბედნიეროდ, იმ დროს ამ აღმართზე არავინ არ იყო და ამიტომ ქვის ზვავის ქვეშ არავინ არ მოჰყოლია. გუშინ პოლიცმეისტერის განკარგულებით ეს აღმართი შეჰკრეს. ამავე დროს ქალაქის გამგეობამ ამ კლდის დასათვალიერებლად ინჟენერი დანიშნა.

*** დღეს, 18 იანვარს, ქალაქის გამგეობაში დანიშნულია ფინანსთა კომისიის სხდომა.

*** 16 იანვარს, ავლაბარში, ტფილისის რაზმის ყაზარმებთან, ეტაპის ქუჩაზედ მოდენილა ორი მთვრალი კაცი, რომელნიც ორმოში ჩაცვივნულან. იმათ ყვირილზედ პოლიციელი მისულა და ჯარის-კაცის დახმარებით ორივენი ორმოდგან ამოუყვანიათ. ერთი მათგანი მაშინვე გარდაცვლილა და მეორე-კი მიხეილის საავადმყოფოში გაუგზავნიათ. პოლიციამ იმათი ვინაობა ჯერ არ იცის.

*** 16 იანვარს, პოლიციელმა ოსიფოვმა, რომელიც ეძებდა კუკიაში მოპარულ ქვრივის პრასლოვის შუბას, 150 მან. ღირებულს, ავლაბარში აღმოუჩინა დიდი საწყობი მოპარულ ნივთეულობისა. ეს საწყობი პეტრე პავლეს სასაფლაოსთან ყოფილა, ელისოვის სახლში, სადაც მდგარა ძველ ტანისამოსის მყიდველ-გამყიდველი ნიკო სახლთხუციშვილი. ამ საწყობში უპოვნიათ მოპარული შუბა, ნაბადი, ტანისამოსი, ოქროს ჯვრები და საყურეები, ოქროს ბეჭდები, თეთრეულობა და მრავალი სხვა ნივთი.

*** „ტფილისის სობრანიის" წლიურს კრებაზედ 15 იანვარს კლუბის გამგეებად ამოირჩიეს: ა. ს. ბაბოვი, ა. ა. მელიქ-ბეგლიაროვი, კ. ი. ქალანთაროვი, თავ. გ. ნ. თუმანოვი, გ. ვ. ტერ-მიხაილოვი, თავ. ლ. ს. ბექთაბეგოვი, დ. გ. ქართველიშვილი, მ. ა. მელიქ-კარაკოზოვი და ა. პ. აკოფოვი. გამგეთა კანდიდატებად: ა. ო. ალავერდოვი და თავ. ზ. რ. თუმანოვი. სარევიზიო კომისსის წევრებად: ა. ნ. ქალანთაროვი, ს. პ. მანუელიანცი და ვ. გ. კანდურალოვი.

*** დ. სამტრედია. არ გაივლის იმისთანა თვე ან კვირა, რომ რაიმე უბედურება არ მოხდეს ხოლმე. ჩვენში, უქმად მოსიარულე ვაჟ-ბატონები დახეტიალობენ აღმა-დაღმა, ხშირად ამ ყოფაქცევის პატრონები ღვინით გაილეშებიან ხოლმე, ასე რომ სახლამდისინაც ვეღარ აღწევენ. ამიტომ ჯდებიან ეტლში, და უბრძანებენ, შინ წამიყვანეო. აი ერთი ვაჟბატონი შობის წინა დღეებში ჩაუჯდა ეტლს და გასწია სახლისკენ, როცა მიახწია სახლს, ძალიან დასჩეხა და ცოცხალ-მკვდარი დასტოვა საბრალო მეეტლე.

შობის მეორე დღეს კიდევ დასჩეხა აქაური ღამის დარაჯი გიორგაძე ხეთერელმა. დამნაშავე შეიპყრეს.

*** იქიდამვე. 14 იანვარს თამაშობის დროს გულ-მოსულობით ძალიან დასჩეხა კაალაძემ ჩიმაკაძე, აქაურის სასტუმროს პატრონი. პირველად ჩიმაკაძემ შემოჰკრა მუშტი, მაგრამ კაალაძემ შეუმჩნევლად ხელში ნაქონი პატარა დანით იმდენს

## ფელეტონი

—

***

ჰე, ისევ კალამს! მისდამო ტრფობა
ღმერთად და ხატად მე აღვიარე,
ის მისალბუნებს გულის შრილობას,
რა გინდ რომ იყოს საკვნესი მწარე!..
ამ ცბიერების და შავის დროში,
ოდესაც მუდამ ცრემლადა ჰქდნება,
ოდესაც სიტყვას გრძნობათგან ნაშობს,
ვერვის გაანდობ, ჰკრთი, იკრძალები,
რომ სიმართლისთვის არ ჩაგაქქვრონ,
არ დაგიმიწონ მართალი გული
და არ მოგისპონ სატრფოს ალერსი,
სამშობლო ქვეყნის მხნე სიყვარული,—
მიჰყრია ხელში ფრთისა კალამი
და მხოლოდ იმას ვეტრფიალები,
ავსა და კარგზე დაუფარავად
ამ ჩემს მეგობარს ვესაუბრები!...
და ეს უსულო ფრთის ფრინველისა,
თითქო ჩემს სიტყვებს იმეორებსა,
წვრილით დარბის სპეტაკს ქაღალდზე,
ჰქარგავს იმაზედ ჩემს აზრს, ფიქრებსა,
რომ შემდეგშიაც სევდითა მოცულს
გარდამიკითხოს ჩემი რვეული
და სასიცოცხლოდ ამიგაღობოს
დასამიწებლად მზად მყოფი გული;
რომ გამამხნევოს, გამასალ-კდდევოს,
დამანარცხვინოს ტანჯვა-ნაღველი
და თვით სამოთხედ გარდამიქციოს
ეს ჯოჯოხეთი, სულის დამღრღნელი,
რომ გამიმხნეოს მე სიყმაწვილე,
ჩემი მცნებანი და ჩემი რწმენა,
ჩემი იმედი, დახსნის იმედი,
ეს ზეციური უსიტყვო ენა;
თან დამაჯეროს, რომ ქვეყნის შუშუ,
რითაც სხვა მყისვე დაიმეხება,
მე ვერ შემმუსრავს და ამ მართალს გულს
ვერ შემოჰხედავს, ვერ შეეხება!...
ჰა, ამ სამსახურს მიწევს კალამი,
ის არის ჩემთა გრძნობათა წყარო.
მას მსურს მივუძღვნა წრფელი სალამი
და ნამდვილ მომმედ ის აღვიარო.
მაშ, ისევ კალამს!... მისდამო ტრფობა
ღმერთად და ხატად მე აღვიარე,
ის მისალბუნებს გულის შრილობას,
რა გინდ რომ იყოს საკვნესი მწარე!...

გრ. აბაშიძე.

### კაცობრიობა და ხალხოსნობა.

წერილი I-ლი

კოსმოპოლიტობა და პატრიოტობა

I

ეს ორი საგანი გახდა დიდი საბაასო მრავალთა დაწინაურებულთა კაცთა შორის. თუმცა მწერლობაში არა, მაგრამ მწერლობის გარეთ ასტეხა ამ ორმა კითხვამ ჩვენს ინტელიგენციაშიც შეხირება და უთანხმოება. ერთნი ამტკიცებენ, რომ კოსმოპოლიტობა სასარგებლოა, და პატრიოტობა სავნებელიო; მეორენი— რაც არის პატრიოტობაა, და კოსმოპოლიტობა უსაქმო კაცების მოგონილიაო.

კაცი თუ კარგად დააკვირდა, ჰნახავს, რომ ხშირად თვით პირველ მეცნიერთა შორისაც-კი ახირება და მოურიგებლობა ხდება ჯერ ერთი აზრისა მტკიცეთ და ნათლათ გამოუთქმელობით; მეორე—თვისი მოწინააღმდეგის აზრისა და სიტყვის მიუხვედრებლობით; მესამე—თვით საგნისა და საქმის აუწონრობით და გამოურკვევლობით.

ესევე დაემართათ კოსმოპოლიტურსა და პატრიოტულს აზრთა და სწავლათაც.

სწავლა კოსმოპოლიტობისა იმ შეურიგებელი სახით, რომლითაც თანდა თან და უფრო და უფრო აღიძრა პატრიოტობის წინააღმდეგ, გამოიწვია იმ ურიგო ქცევამ და მიმართულებამ, რომელთაც ადგა პატრიოტობა აზრ-გამოურკვევლობის მიზეზით და შეუხამებელი კაცებისა და საზოგადოების ხელში. სწავლა პატრიოტობისა იმავე შეურიგებელი ხასიათით წინააღმდეგ კოსმოპოლიტობისა გამოიწვია იმავე ურიგო გზამ, რომელსაც დაადგა კოსმოპოლიტობა აზრ-გამოურკვევლობით და შეუხამებელი კაცების ხელში.

რომ ვიპოვნოთ საძირკველი, რომელზედაც აშენდა უთანხმოება ამ ორთა საგანთა შორის, საჭიროა გადავავლოთ თვალი ან ერთი რა ნიადაგზედ აღმოცენდა და რა ჰქონდა საფუძვლად ან მეორე.

რა-კი ამას ვნახავთ და გავიცნობთ, მაშინ შეგვეძლება ახსნა და გამორკვევა, მართლა ეს ორი საქმე ერთი ერთმანეთის წინააღმდეგნი არიან, თუ ორთავეს ერთი და იგივე დიდებული საკაცობრიო სამსახური და საქმე უდევთ წინ, თუ ასწონენ ორივენი ერთმანერთის ნანდვილს მნიშვნელობას, აწონვით დაადგებიან სწორე გზას და მისცემენ ერთმანერთს საერთო სამსახურში მხარს. რაკი ამის ახსნას შევძლებთ, მაშინ ვნახავთ, რომ ეს ორივე სწავლა ისრე მჭიდროთ არი ერთმანერთზედ ერთი და იმავე ინტერესებით გადაბმული, რომ ძნელი გასარჩევი ხდება ერთი სადა თავდება და მეორე სად იწყება.

პატრიოტობა ისრეთივე ძველია, როგორც თვით კაცთა საზოგადოებანი. როგორც პირველ დასაწყისში კაცთა კრებას ჰქონდა მხეცური ქცევა და სახე, ეგრეთვე პარტიორტობასაც. კაცი ჯერ ეხლაც ვერ გამორკვეულა ბევრში პირუტყვული მდგომარეობიდამ, მრავალნი მეცნიერნი ჩვენი ცხოვრების სამაგალითოთ გვიმოძღვრებენ პირუტყვთა ქცევას და ცხოვრებას; ეხლაც კიდევ მხოლოდ მცირე ნაწილია კაცთა საქმეთა, რომელიც იყვეს დამყარებული კაცის ცნობასა და გონებაზედ,—და პირველ ხანად ხომ, ცხადია, უარესი გამოურკვევლობა და უაზრობა იქნებოდა ყველა საქმეში. რაკი კაცმა არ იცოდა მიწის შემუშავება, არ იცოდა ბუნების მოვლა და პატრონობა,—ის ირჩენდა თავს მარტო ტაცებით, გლეჯით, ერთი პატარა საზოგადოება ანუ ოჯახი სცდილობდა თავისავე მონათესავე საზოგადოებისა და ოჯახების აკლებას, განდევნას იმათი ადგილებიდამ. ამას იმიტომ, რომ მათი დამხობით, განდევნით, თვითონ იჭერდნენ იმათს ადგილებს, და ამ ადგილების ნაყოფით თვითონ სარგებლობდნენ. ერთმანერთის ფასი, ერთმანერთის პატივი კაცთ არ იცოდნენ და იმ მდგომარეობაში არც შეიძლებოდა ესა. ვინც არ იყო იმათი, ის ბუნებითვე იყო იმათი მტერი. იყო მტერი ჯერ ერთი მითი, რომ ეცილებოდა იმათ იმ ადგილებსა და მათს ნაყოფს, რომელნიც ამათ ეჭირათ და ხმარობდნენ; მეორეც მითი, რომ ისინი ჰსარგებლობდნენ იმ ადგილებითა და საზრდოთი, რომლებიც ამათ უჭირდათ. ამის გამო ეს საზოგადოებანი არა

ხანს სჩეხა ვიდრე წელები არ გამოაყრევინა. დამნაშავე შეიპყრეს.

## რედაქციისაგან

რადგან გუშინდელს ნომერში მოთავსებული ჩიორას ფელეტონი „წკიპურტი“ სულ ერთიანად არეულია ასოთ-ამწყობთა მიზეზით, ამიტომ ამ ფელეტონს ცალკე დავბეჭდავთ და ამ დღეებში დავურიგებთ მკითხველებს.

## წერილი სოხუმიდგან

აგერ მეოთხე წელიწადი განმავალობს მას აქეთ, რაც ჩვენი ხალხის გადმოსახლება შეჩერდა ადგილობრივის საგუბერნიო ადმინისტრაციის განკარგულების ძალით. სახელმწიფო ადგილები სამოსახლოდ ჩვენებს აღარ ეძლევათ, ამათ ეუბნებიან, თქვენთვის არა გვაქვს ადგილიო. ესენიც, რასაკვირველია, სხვა გვარად იღწვიან; ზოგი იჯარით იღებს ვინმე მემამულის ალაგს, ზოგი, შეძლება თუ შესწევს, საკუთრებად ჰყიდულობს და ზოგი სხვა რამ საშუალებასა ხმარობს. ერთის სიტყვით, რომ იტყვიან: გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, ისე შვრებიან ეს საწყლები. ქუთაისის გუბერნიაში, სახელდობრ სენაკისა, ლეჩხუმისა, რაჭისა, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში, ერთი, რომ სრულიად უმიწაწყლოდაა (ორი-სამი ქცევის პატრონ მეოჯახეს, რასაკვირველია, უმიწა-წყლო ჰქვიან), მეორე—მიწა გაუნაყოფიერდა, არაქათი გამოელია, გაიხრიკა და ამის გამო ასის ბათმანის სიმინდის მაგიერ ოც-და-ათს ბათმანს აღარ იძლევა ქცევა. ნახევრობით ხალხი მშიერია უქონლობის გამო. შრომობს დღითი-ღლე და ამისი უდიერი შრომა ერთის მხრით მიწის სიმცირისა და უნაყოფობის გამო და მეორეს მხრით მშრომელის უმეცრების გამო ამაოდ მიდის. ჩვენს გლეხობას რომ მცირეოდენი სამეურნეო სწავლა მისცა, თავისი შრომით და ამ სწავლის წყალობით კიდევ შეეძლო ათი-თხუთმეტი წელი თავისს ნიადაგზედ ცხოვრება. ვის არ მოგეხსენებათ, ჩვენებური ხალხის ფანატიკური სიყვარული თავისის სამშობლო სოფლისა. ჩვენის ხალხისთანა დედამიწასთან შეხორცებული მეორე ხალხი არ მოიძებნება ქვეყანაზედ. ამის მიზეზი გახლდათ ჩვენებურის ნიადაგის გამძლე სინოყიერე. ერთსა და იმავე ადგილზედ შეიძლება ასი-ორასი წელიწადი განუწყვეტლად მოვიდეს მოსავალი, მაშინ, როდესაც სხვაგან ათას გვარად თუ არ ასუქე მიწა, ოთხის-ხუთის წლის შემდეგ არავითარს მოსავალს არ მოგცემს. რაღა საკვირველია, რომ ქართველებს მიწა გვიყვარდეს. ასის წლობით რომ ერთს რამეს შეეჩვევი, ამისი ადვილად განშორება, ძნელია. ის ხალხი-კი, საცა დედამიწა ათას გვარ პატივსა თხოულობს და ყოველ მეორე წელს შესვენებას და თან, საცა ამ შრომასთან ერთიხუთად თუ ათად ძლივს იძლევა მოსავალს, რასაკვირველია, ვერ შეიყვარებს მას და ადვილად ეცდება და ეძებს როგორმე, სადმე რიგიანი მიწა იშოვნოს.

ძალიან ეძნელება ჩვენს ხალხს თავისის სოფლის მოშორება, მაგრამ ის იმედი, რომ ცხრა მთას გადაღმა არ მიდის, ის იმედი, რომ წელიწადში ერთხელ მაინც შეუძლიან მოინახულოს თავისს მამა-პაპათა სასაფლაო და თავისს სალოცავს შეევედროს, დიდს იმედს და გამბედაობას აძლევს მას აქეთ გადმოსახლებისას. მართალია, როგორც ზევით მოგახსენეთ, უშლიან ჩვენებს აქეთ გადმოსახლებას, მაგრამ ზემოდ ნათქვამ მიზეზთა გამო მაინც განუწყვეტლად მოილტვიან აქეთკენ. დღეს, ცოტა არ იყოს, ძალიან სასიამოვნო ხმა დავარდა ჩვენის ახალშენების სასარგებლოდ და ყველა ჩვენთაგანის ვალია, ვისაც-კი რამ შეგვეძლება ხელი შევუწყოთ გაჭირვებულ ახალშენთ და მაგრა მოვადგმევინოთ ფეხი აქაურს ნიადაგზედ. აი საქმე რაში მდგომარეობს: ქ. სოხუმის ახლო, ასე 8—9 ვერსის მანძილზედ, ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს ზაქარია გიორგის ძეს თავადს ერისთავს აქვს ათას ოთხასი დესეტინა ადგილი, რომლის მისყიდვა განუზრახავს ჩვენებურის ახალშენისათვის მსყიდველთათვის მეტის-მეტად სასარგებლო პირობებით. მთელს მამულს აფასებს, როგორც შევიტყეთ, ოთხმოც ათას მანათად იმ პირობით, რომ ეს ფული ექვს ნაწილად განაწილდეს და ყოველ წლობით თითო მეექვსედი მისცენ ხოლმე. ეს პირობა მეტად კარგი და სასარგებლოა მსყიდველთათვის, მაგრამ ამ საქმეს წინ გამძღოლი და დამამთავრებელი კაცი ესაჭიროება. თავადს ზაქარიას აქ ჰყავს ძრიელ პატიოსანი და ხალხისათვის გულ-შემატკივარი მოურავი აზნაური პეტრე ბარკალაია, რომელიც იმედია კეთილს განზრახვას თავადისას ხელს შეუწყობს კარგად დააგვირგვინოს და თავისს საყვარელ ზაქარიასთან ერთად საუკუნოდ უკვდავი ჰყონ თავი თვისი. მართალია ბ. პეტრე კეთილი და პატიოსანი კაცია და შრომას არ დაიშურებს, მაგრამ ამასაც უნდა, რომ აქვე სოხუმში აღმოუჩნდეს ხელის შემწყობი და საქმის დამამთავრებელი. ადვილი საქმე არ არის ასის-ორასის მოსახლის რიგიანად დასახლება. რა სოფელია ის სოფელი, რომელსაც არა ჰყავს არც სულიერი მამა, არც რიგიანი სასწავლებელი, არც რიგიანი მოთავე და გზის მაჩვენებელი? ასე გასინჯეთ, რომ ბევრი ჩვენი ახალშენი უმღვდლოდ და უზრუნველად სახლობს აქაურს ტყეში. ჩვენი ღვთის მოშიში ხალხი ამ ჟამად აქ გაგარეგნებულს აფხაზს დამსგავსებია. ამისათვის წმინდა არა არის რა და ეს ხომ უბედურებაა ხალხისათვის.

ჩვენს იმედებს, დარწმუნებულნი ვართ სახელოვნად აღასრულებენ თავადი, ზაქ. ერისთავი და იმისი მოურავი აზნაური პეტ. ბარკალაია, ამ სიტყვებს უფრო ის მათქმევინებს, რომ თავადისთვის მიუმართავს ერთს მდიდარს უცხოელს და ხელად უძლევია ზემოდ ნათქვამი ფული, მაგრამ თავადს უბრძანებია: „თქვენ უამისოდაც ბევრი შეძლება გაქვთ და უმჯობესი იქნება, ჩემი მამული ღარიბებს მივყიდოო“. ამ სიტყვებით გაუსტუმრებია ეს ბატონი, თუმცა-კი დღემდისაც მოსვენებას არ აძლევს თურმე ბატონს ზაქარიას, მაგრამ თავადს ზაქარიას ერთხელაც არ უთქვამს, მოვიფიქრებ და გეტყვიო. მე რაც გადავსწყვიტე, იმისი დარღვევა არ შემიძლიანო, ამას ეუბნება ამ უცხოელს ყოველთვის.

გადალმელი.

## კორესპონდენცია

—

**ს. ნაფარეული**, ამას წინად ჩამოვიდა აქ თელავის მაზრის უფროსის მიერ გამოგზავნილი ბ-ნი ალაბეგოვი, რომელსაც დავალებული აქვს მოჰკრიბოს შეუტანელი ფული „ნადელის“ გამოსასყიდის გარდასახადისა. ჩამოსვლისთანავე ალაბეგოვმა შეჰკრიბა ხალხი და გამოუცხადა, რომ „ნადელის“ ვალში უნდა გაგიყიდოთ, რაც-კი რამ გაბადიათო. ამის შემდეგ აქ დამსწრე გლეხობა დაატუსაღა მახლობელს გომურში, თითონ-კი გაექანა სახლებისაკენ იმათის სარჩო-საბადებელის ასაწერად. აწერა ყველაფერი, რასაც-კი თვალი მოჰკრა: კამეჩი, ცხენი, ძროხა, ღორი, ინდოური, ღვინო, ქვაბები, ლოგინი და სხ. გაალო ყუთები და სკივრები და ასწერა, რაც-კი შიგ მოიპოვებოდა. იქამდის მიიყვანა ბ-ნ ალაბეგოვი სამსახურის ერთგულებამ, რომ არ უკადრისობდა და ჰხდიდა, ვისაც-კი გზაში შეხვდებოდა, ჩოხას, ფარაჯას, ნაბადსა და სხვ.

როდესაც ყველაფერი ასწერა, დაიბარებდა ხოლმე თავისთან, ოთახში, სათითაოდ გლეხებს, ჯიბეებს გაუჩხრეკავდა და ვერაფერს რომ ვერ უპოვიდა, ორიოდე სილას ჯერ თითონ უთავაზებდა ჯიბე-გამოფხეკილს გლეხს, რატომ ფული არა გაქვსო, მერე უბძანებდა იქვე მდგომს ჩაფარს, რომ მათრახით ეცემნა და შემდეგ კისრისკვრით გარეთ გამოისტუმრებდა. ალაბეგოვის ასეთმა სისასტიკემ ძლიერ დააღონა აქაურები და არ იციან, როგორ გამოვიდნენ ამ მდგომარეობიდგან. დიდიან გულ-ხელ დაკრეფილები და გაიძახიან: „ე-რა ცეცხლში ჩავარდითო, ყველაფერს გვიყიდიან და არვიცით, რითი ვიცხოვროთო, ღმერთმანი!“

იქამდის შეაწუხა ნაფარეულები ნადელის ვალმა, რომ, არა ერთხელ და ორჯელ მიუმართავთ მთავრობისთვის: „არ გვინდა თქვენი „ნადელი“, თქვენვე მოიხმარეთ, ოღონდ თავი დაგვანებეთ და ფულს ნუღარ გადაგვახდევინებთო“, მაგრამ არა გაუვიდათ-რა და ყოველ წლივ მაინც იძულებულნი არიან ვალის გარდახდას. არც ერთს სოფელში არ იქნებიან გლეხები ასეთს შევიწროებულს მდგომარეობაში, როგორც აქ არიან: არა აქვთ ტყე, რომ შეშა, ფიჩხი და სარი მოსჭრან, არ მოეპოვებათ საძოვარი ადგილები, რომ საქონელი იყოლიონ.

ერთის მხრივ ასეთმა შევიწროებულმა მდგომარეობამ და მეორეს მხრივ ნადელის დახსნის უიმედობამ აიძულა აქაური გლეხი მიეტოვებინა ვენახები და სახნავ-სათესი მიწები და ევლო სახელმწიფო ზვარში დღიურ ლუკმის მოსაპოვებლად. ამ გვარად სცდება ამათი „ნადელში“ მიზომილი მიწები და ამ მიწების გამოსასყიდი შეუტანელი გარდასახადი-კი, რომელიც აღემატება 31,000 მან., დასწოლიათ მძიმე ტვირთად კისერზედ და დღეს თუ ხვალ მიწასთან გაასწორებს, თუ რომ მთავრობა არ შეუმსუბუქებს ამ ტვირთს.

ასე წარმოიდგინეთ, ზოგიერთის გლეხების მიზომილი მიწა წყალ-დიდობამ იმსხვერპლა, წყალმა წაიღო, თვით პატრონებიც ამოწყდნენ, მაგრამ იმათი გარდაუხდელი ვალი ეხლა მთელს სოფელს ერთმევა, სო-

---

ჰზოგავდნენ ერთმანერთს არც გასაძარცვავათ, არც სასიკვდილოთ, არც ძირიანად აღმოსაფხვრელად, რადგან ამათი სიკვდილ-სიცოცხლე იყო დამოკიდებული იმათს მოსპობაზედ, იმათს აღმოფხვრაზედ. ამ ბრძოლაში, ცხადი საქმეა, საქებური და სათაყვანებელი უფრო ის იყო, ვინც უფრო თავ-გამოდებული და თავ-დადებული იქნებოდა თავისი ოჯახისა ანუ საზოგადოებისათვის, ვინც უფრო ცდილობდა მოესპო და ბოლო მოეღო ყველა კაცთა კრებათათვის, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ ამათს ოჯახს, ამათს საზოგადოებას.

აი, აქვე ამ პირველ კაცთა საზოგადოებათა დაწყებიდვე ეძლევათ პატრიოტთა ქება, დიდება და პატივი, ხდებიან თავისს საზოგადოებაში სალათადებელნი, იმედნი და სასონი ამ საზოგადოებაებისა.

შემდეგ, რამდენიც ხანი გადის, იმდენი კაცთა პაწაწინა კრებანი იზრდებიან შინაური გამრავლებით, ერთმანერთის დაპყრობითა და დამონავებით, ძალა-უნებური შეერთებით, ერთმანერთთან მორიგებით, რომ დაკავშირდნენ და შეერთებული ძალით შესძლონ პასუხი და ძლევა მეზობელი საზოგადოებაებისა. რამდენიც კაცთა კრებანი, საზოგადოებანი იზრდებოდნენ, იმდენი პატრიოტობასაც სივრცე ეძლეოდა, პატივი ემატებოდა, რადგან პატრიოტთ ემართათ ახლა უფრო დიდი და ვრცელი კაცთა კრებათათვის თავის გამოდება, თავის განწირვა, მომატება თავისი სიმხნევისა, გაბედვისა და თავის გამეტებისა. ბოლოს ამ გვართა კაცთა კრებათა და გაძლიერებულთა საზოგადოებათაგან დაარსდნენ სახელმწიფონი. კაცთა კრება შეიქმნა დიდი და ვრცელი. შესდგნენ ნაციები ანუ ერთ-ერნი. კაცი თანდათან მოდიოდა გონს, ისწავლა ფასი წეს-წყობილებათა, დაიწყო შეძენა ქონებისა, სარჩოსი, საკუთრებისა. ამან გაუტკბო კაცს უფრო სიცოცხლე. თქმა არ უნდა, აქ კიდევ უფრო დიდი პატივი უნდა დასდებოდა პატრიოტთა, ქვეყნის მფარველთა, ძალის მომცემთა. რავდენიც ამათ უფრო ფასი ედებოდათ, იმდენი ისინიც უმატებდნენ თავისს საქმეს, გამბედაობას, ხალხის გაძლიერებას. ამ გვარს კაცებზედ იყო დამოკიდებული სიცოცხლე თუ სიკვდილი იმ ხალხისა, რომელსაც ესენი ეკუთვნოდნენ, რადგან, ვიმეორებთ, საქმე ისრე იყო დაყენებული, რომ, თუ შენ არ შთანთქავდი, შენ შთაგნთქავდნენ, ანუ როგორც კარლეილი ჰსახავს ამ გვარს კაცთა შორის დამოკიდებულებას: „კაცთა შორის საქმე ასრეა დაყენებული: ვინ დაასწრებს მოკვლას: მე შენ, თუ შენ—მე!“ ან ჩვენებურად ქართულად რომ ვთქვათ: ან მე უნდა ვიყვე, ან შენაო.

ამ დროებაში, რა თქმა უნდა, რომ პატრიოტებს არ მოეთხოვებოდათ მართალისა და მტყუანი საქმის გარჩევა და ისე მოქმედება თავისის ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ და სხვათა სამტროდ, რადგან, სწორედ რომ ასწონოს კაცმა, ყველანი მართალნი იყვნენ ამ ერთმანერთის შთასანთქმელად პირის დაღრენაში: შინაურნიცა და გარეულნიც. მართალი იყო ორივე მხარე მიტომ რომ, როგორც ზემოდ ითქვა, არ იყო კაცთა შორის ცოდნა და გამოცდილება, რომ ბუნება ხელოვნებით შეემუშავებინათ და იქიდამ გამოეტანათ თავისი საზრდო. ამის გამო ის იძულებული იყო მტაცებლობით და სხვების ადგილების დაჭერით შეენახა თავი. მაგრამ მას აქეთ, რაც გაჩნდა მიწის მუშაობა, ალებ-მიმცემლობა, ხელოვნება, საკუთარი შრომით სარჩოს შეძენა, თქმა არ უნდა, აღარ უნდა ყოფილიყო მოსაწონი ბრმა, უსამართლო პატრიოტობა, რომელიც არ არჩევდა, რა საქმისთვის იყო ეს თავ-გამოდებული—მართლისთვის, თუ მტყუანისთვის. არ იყო მოსაწონი იმ აზრითა და შეხედულობით, რომელიც სწონდა საქმეს საერთო კაცობრიობის სარგებლობის სასწორით. კაცმა შესძლო ბრძოლა ბუნებასთან, შეუდგა ბუნების დამორჩილებას: სიმართლე იქითკენ იყო, სადაც კაცმა თავის რჩენა იწყო თვისი შრომით, და არა ძმის სისხლის ღვრით; სარჩოს იძენდა უსულო ბუნებისაგან, და არა მგძნობარე და გონიერი კაცის ტანჯვისა და წამებისაგან.

მაგრამ პატრიოტობა არ უქცევდა თავისს გზას, პირ-იქით, რავდენიც ხანი გადიოდა და ძლიერდებოდნენ სახელმწიფონი, კაცთა კრებანი, იმდენი უფრო ფასი ედებოდა ამათ ბრმა პატრიოტობას, თავისი ხალხისა მართალსა თუ მტყუანს საქმეში სამსახურსა, სხვების ჩაგვრასა და მუსრვასა, დაპყრობასა და დამონავებას. უკეთესს ამის მაგალითს წარმოადგენს ბრძოლა რომისა კართაგენთან. ორი უძლიერესი და უგანათლებულესი ძველს ისტორიაში ხალხი გახდა ერთმანერთის მოსისხლე მხოლოდ მიტომ, რომ თანაბრად გაძლიერდნენ და ეტანებოდნენ მთელი ქვეყნის ბატონობას. აქ ასტყდა ბრძოლა, ბრძოლა მედგარი, ბრძოლა, ბარბაროსთა შორის-კი არა; დაწინაურებულთა კაცობრიობის თავს მდგომთა ხალხთა. სემიტთა თავს მდგომი კართაგენი და არიელთა თავთა მდგომი რომი, მის ნაცვლად რომ თავისი ცოდნით გახდომოდნენ კაცობრიობის მოძღვრად, მისეოდნენ ერთმანერთს შესამუსრად, ბოლოს მოსაღებით. ვის არ ახსოვს აქ რომაელთა გამოჩენილი პატრიოტის კატონის სიტყვები კართაგენის სამუდამოთ აღმოსაფხვრელად, როდესაც ისინი, ძლეულნი რომაელთაგან, თვით თვისი მძლეველი კეთილშობილი სციპიონის პირით სთხოვდნენ რომის სენატს შებრალებასა და სიცოცხლეს! რომაელთა სასიქადულო პატრიოტმა, აღიარებულმა უკეთილშობილეს და უპატიოსნეს კაცად რომში, კატონმა, მკუხარე სიტყვით მოითხოვა სამუდამოთ და ძირიანად მოსპობა კართაგენისა. ეს უპატიოსნესი პატრიოტი რომისა გახდა მიზეზი იმგვარი ნიჭიერი დიდებული ხალხისა მოსპობისა, როგორც კართაგენელნი, რომელმაც თავისი კულტურით, თავისი ხელოვნებით, მეცნიერებით, ტეხნიკით გაათცა უკეთესნი ბერძენნი, უკეთესნი რომაელნი, და რომელმანც შეჰქმნა იმგვარი უდიდებულესი მხედართ-მთავარნი და გასაოცარი ქვეყნისთვის თავის გამწირველნი, როგორც ანიბალი, გაზდრუბალი და სხვანი. ვინ არ იცის, რა რწმუნებაც იყო რომის ხალხში გავრცელებული, რომელიც სწამდა

...ის, რომელიც ისეც დაღარიბებულია და თავისის საკუთარის ვალის გარდახდის შეძლებაც არა აქვს. ამას გარდა, ერთი უცნაური ამბავიც უნდა აღვნიშნოთ. სოფ. ნაფაცულს იმავე სახელმწიფო ვალის გამო ამ ჟამად ეკზეკუცია ჰყავს ჩაყენებული მაზრის უფროსის განკარგულებით. როდესაც ასეთს უმწვერვალესს ღონისძიებასა ჰხმარობენ, ყოველთვის გუბერნიის ადმინისტრაცია გადასწყვეტს ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს წესი, როგორც ვიცით, ... იქნა დაცული და საბრალო სოფელს ... ჰხდება ზემოხსენებულის განკარგულებისა გამო. ვიმეორებთ, თუ ამ ...ველს დღევანდელი ყოფა არ შეუმსუბუქდა, იგი იძულებული იქმნება ... ჰყოს აქაურობა და გადიხიზნოს ... მაგრამ ასეც რომ ჰქმნას, განა ეს საშუალება-კი დაიხსნის სახელმწიფო ვალისაგან?!.

ც—ი.

## რუსეთის ცხოვრება

—

გაზეთი „Моск. Вѣд.“ ... რას ...ერს ფინლიანდიაში მცხოვრებ რუსების შესახებ:

„როგორც მოგეხსენებათ, ფინლიანდიაში მცხოვრებ რუსებს ის უფლება არ ეძლევათ რაც ფინლიანდიის ...იდრ მცხოვრებლებსა აქვთ. ამიტომ რუსები თითქმის ისეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც ... ცხო ქვეყნელნი. თითქმის იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც რუსი რის ... -ვაგლახით მიიღება ხოლმე ფინლიანდიის მოქალაქედ ანუ როგორც ... ფინლიანდელები ეძახიან „ფინლიანდიის ქვეშევრდომად“ მაშინაც ... არ შეუძლიან ფინლიანდიის სამ...ერო დაწესებულებაში იმსახუროს. რუსეთის სასწავლებლების მოწმობები ფინლიანდიაში არ იღებიან, მხოლოდ რუსის ექიმებს ნება დაერთოთ ფინლიანდიაში წამლობისა, ისიც ...ძალიან მოძოდ, თორემ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში ნება არა აქვთ სამსახურისა. ამ ქვეყანაში მოხელეებად მარტო „მკვიდრი მცხოვრებლები“ ინიშნებიან და ეს წესი „უმთავრესს კანონად“ ითვლება, თუმცა-კი, მართალი რომ ვსთქვათ, არავის არ დაუკანონებია და მარტო შვედის კონსტიტუციიდგან (1772 — 1789 წწ.) არის გამოკვარახჭინებული. ფინლიანდიის სამოსწავლო დაწესებულებათა დიპლომები და გვაროვნობითი უპირატესობა დიდი ხანია შეუთანასწორეს რუსულ დიპლომებს და გვაროვნობათა უპირატესობას.

რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში და დაწესებულებაში არა იშვიათად შეხვდებით ფინლიანდიელს მოხელესაო და სხვა...

—

როგორც სასოფლო-სამეურნეო საბჭოს მოხსენებიდგან სჩანს რუსეთში ამ ჟამად 72 სამეურნეო სასწავლებელი ყოფილა:

უმაღლესი სასწავლებელი 3. მოსკოვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო საინჟინერო განყოფილებით. ჯერ მარტო პირველი კურსია და 61 კაცი სწავლობს; ნოვო-ალექსანდრიის ინსტიტუტი სამეურნეო და სატყეო განყოფილებით; რიგას საპოლიტეხნიკო სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით, სწავლა სამს წელიწადს გრძელდება.

საშუალო სასწავლებელნი: ხუთია. სახელმწიფო: ხარკოვისა, ყაზანისა, გორეცკისა, უმანისა და მარიინისა (სარატოვში). ხერსონის საერობო სასწავლებელი, მოსკოვის სამიწათმოქმედო სასწავლებელი სოფლის მეურნეთა საზოგადოებისა, კრასნოუფის სამრეწველო სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით, ბესსარაბიის ღვინის მკეთებლობის სასწავლებელი.

დაბალი სასწავლებელი 60 და მოსწავლეები ასე არის დანაწილებული: ვაჟთა სამეურნეო სასწავლებლებში სწავლობს 1,670 კაცი დედათა სასწავლებლებში—111 სული. ბაღოსნობისა, ბოსტნეულობისა და ღვინის კეთების სასწავლებლებში—434, სარძეო სასწავლებლებში—112. სულ 2,327 მოსწავლე.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** „Wiener Tageblatt“-ის პარისელს კორესპონდენტს, როგორც თითონ ამბობს, მცირე ლაპარაკი ჰქონია ფორთან. სხვათა შორის საფრანგეთის რესპუბლიკის ახალს პრეზიდენტს ვენელ ჟურნალისტისათვის ვითომ შემდეგი უთქვამს:

„ჩემის პრეზიდენტობის თანამდებობაზედ ამორჩევის დროს კონგრესი იმ სურვილით ჰხელმძღვანელობდა, რომ აწ არსებულნი გარემოებანი სახელმწიფოს უმაღლესს თანამდებობაზედ ხალხიდგან გამოსულს კაცს თხოულობდნენ, ე. ი. მუშას, რომელიც თვისის მოვალეობის გრძნობითა და კეთილ-განზრახვით ყოფილიყო გამსჭვალული. მე ისეთივე ვიქმნები შემდეგში, როგორსაც დღემდისა მცნობენ. რაც შეეხება საფრანგეთის პოლიტიკას უცხო ქვეყნების შესახებ, ვიტყვი, რომ, რომელი დასიც უნდა იყოს რესპუბლიკის მმართველობის ხელთა მპყრელი, ეს პოლიტიკა მაინც არ შეიცვლება. საფრანგეთს ძლიერი და ღირსეული მშვიდობიანობა ჰსურს, და თუ იგი ამ თვისის აჩქარებულის ამაღლებით ამაყობს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ესევე სიმაღლე აძლევს იმ ძალასა და ავტორიტეტს, რომელიც შეაძლებინებს ღირსეულად ემსახუროს საყოველთაო მშვიდობიანობისა და ერთვნებათა ერთობის დიდს საქმესა“-ო.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ლანჩხუთიდგან „ივერიის“ მე-275 ნომერში მოწერილია, ვითომც ჩვენი წიგნთ-საცავი მუდამ დაკეტილი იყოს და ხალხი ჯეროვნად ვერ სარგებლობდეს. ეს სრულებით სიმართლეს მოკლებულია, იმიტომ რომ ჯერ-ჯეროვნობით ჩვენს წიგნთ-საცავს არ აქვს იმდენი შეძლება, რომ კაცი დაიქირაოს და წიგნსაცავი მუდამ ღია ჰქონდეს; აქამდის თვით დამაარსებელი იყო შიგ და როგორც დრო მისცემდა, ისე აღებდა წიგნთ-საცავს.

ბოლოში დასძენს, რომ ბ-ნი იონა გოგიბაშვილი იყო გაგზავნილი შეწირულების შესაგროვებლად და არ ვიცი მოაგროვა რამე თუ არაო, თუ მოაგროვა, რატომ ერთ-ერთს გაზეთში არ განაცხადა გამოცხადებულიო.

ეს ნამდვილია, მართლადაც გავგზავნეთ იონა გოგიბაშვილი და კიდეც მოაგროვა, მაგრამ მიზეზი იყო და იმან შეაგვიანა; აი ეხლა ვაცხადებთ ამასთანავე შემომწირველთა სიას: დიმიტრი ბაქრაძე 1 მ., დ. კალანდარიშვილი 1 მ., ს. ყაზაიშვილი 1 მ., ს. გაბუნიაძე 50 კ., №-მა 1 მ., გ. ზუბინიძე 1 მ., ფ. დარჩია 3 მ., გ. დარჩიამ ქართული და რუსული წიგნები და ფული 10 მ., გ. ტუღუშიაშვილი 50 კ., ს. კაშაკაძე რუსული წიგნები ღირებული 2 მ., №-მა 30 კ., ი. რატიშვილი 1 მ., ზ. კიღაძე სამი № „ჯეჯილი“, გ. თაყაიშვილმა 2 მ., უცნობისაგან 50 კ., ა. ქუთათელაძე 1 მ. შაქროსაგან 30 კ., ი. მაჭავარიანმა 1 მ., გ. ხელაძემ 3 მ., დ. კარიჭაშვილმა წიგნები ღირებული 1 მ. 30 კ., ანას. წერეთლისა ორის წლის „ჯეჯილი“, გ. ბუნიას წიგნები 3 მანეთისა, ა. რონიაშვილი წიგნები და ფულად 4 მ. 50 კ., №-მა 1 მ., ს. მელიქოვი 1 მ., ს. წერეთელი 20 კ., გ. სხირტლაძე 1 მ., დ. ადამია 1 მ., ი. ხარავაძე 1 მ., გ. ლაზაროვი 1 მ., გ. ყაქარდუსოვი 50 კ., ი. აანდელაკოვი 50 კ., ანნა გაბაშვილისა 40 კ., ი. ხონელი 1 მ., №-მა 50 კ., რაიჟაელ ერისთავმა 20 კ., მ. გოგუაძე 20 კ., ეგ. იოსელიანი 3 მ. ს. მეგრელიშვილი 1 მ., ი. აბრამიშვილი 1 მ., ი. მელიქოვი 1 მ., №-მა 50 კ., გ. დიაროვი 50 კ., ი. ლომინაძე 1 მ., მ. ჯანაშვილი 1 მ., ტ. ქიქოძე 2 მ., ექიმებმა: ი. ელიაშვილმა და გ. ჭიჭინაძემ 2 მ., №№ 1 მ., ნ. ტარიელოვისა ხუთი ცალი წიგნი, გ. რატიანი 2 მ., რისთვისაც შეწირულებისთვის მადლობას ვუცხადებთ.

გამგე ლანჩხუთის სამკითხველოსი შალიკო ცინცაძე.

## გასართობი

—

ჩიკაგოს ერთს გაზეთში შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი ვიღაც ქალისაგან.

არ ვიცი., მომპარეს თუ გამექცა ის არსება, რომელსაც ჩემის სიხულელის გამო მივსთხოვდი, მაშინ როდესაც დაბნელებულად ვგრძნობდი ჩემს თავს, მაგრამ იმდენად ზარმაცი-კი ვიყავ, რომ დამეზარა, სხვა მომეძებნა. ის გარიანას შეხედულობისაა, მაგრამ საშინელი უსასითო. ამისდა მიუხედავად საკმაოდ შკვიანია, ასე, რომ წვიმის დროს სუყოველთვის დაბრუნდება ხოლმე სახლში, თუ რომელიმე ცქრიალა გოგონა თავისს ქოლგას ათხოვებს. სახელად „ტომი“ ჰქვიან. უკანასკნელად მე ისა ვნახე იულიას გარრისთან და ისეთივე ტუტუცი მეჩვენა, როგორც უოველთვის. ვინც დაიჭერს და მომგვრის ამ პატარა და საბრალო ეშმაკს, რათა შემეძლოს სამუდამოდ აღმოფხვრა იმის გულიდგან ის საძაგელი ჩვეულება, ქალების უკან დევნა, იმას დიდის სიამოვნებით მოვაწევ ჩაიზედ.

ჰენრიეტტა ა. სმიტ...

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

16 იანვარი

**პეტერბურგი.** გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი, ტაინი სოვეტნიკ ნ. პ. შიშკინი დროებით გარეშე საქმეთა სამინისტროს მმართველად ... მნა დანიშნული.

16 იანვარი

**პეტერბურგი.** საგზაო ზღ...

* * *

...ვით იულიუს კეისარს, ამ მსოფლიო გენიოსს, რომ ყველა ხალხნი რომისთვის არიან გაჩენილნი და ყველანი უნდა დაემონენ რომსაო. ამას ვხედავთ ძველად.

ვის არ ახსოვს ახალს ისტორიაში, წარსულის საუკუნის ...ამლევს ინგლისთა სახელოვანი კეთილ-შობილის პატრიოტის პიტის სიტყვები ინგლისის პარლამენტში შესახებ ამერიკელთა, რომელნიც თავისს სიმართლის დასაცველად აშლოდნენ ინგლისელებსა. პიტი თხოულობდა შესახებ ამ დიდებულის ხალხისა, რომლითაც დღეს კაცობრიობა იწონებს თავს, თითქმის ...სვე, რასაც თხოულობდა კატონი შესახებ კართაღენისა.

გამოილვიძეს იდეიებმა, აზრებმა, ...ავლამ, მეცნიერებამ, ჰუმანიზმა, ...ობისა და თანასწორობის ქადაგე...ამ, მაგრამ პატრიოტიზმი ადგა თა...ის გზას, ის არამც თუ იცავდა თა...ისი ხალხების სიწამხდრეს, უმეცრე...ს, — სცდილობდა ამათ გავრცელე...ს იქაც, სადაც ამათზედ მაღლა იდ...ენ ზნეობით, ცოდნით, კაცობრიობით. მთელი ევროპის პატრიოტო... აღიძრა და ამხედრდა საფრანგე...ის შესამუსრად, როდესაც საფრან...თმა აღიარა „დეკლარაცია კაცთა ...ლებათა“.

ეს კიდევ არაფერი, რომ პატრიოტობა გაჰყოლოდა თავისის ხალხის მართლაცა და გაძლიერების გზას, თუნდა ეს გაძლიერება მომხდარიყო სხვა ხალხთა შევიწროვებით და დამონავებით, თუ ეს შესძენდა ამ ხალხს ქონების მხრივ მაინც რასმე. მაგრამ პატრიოტობა არ დასჯერდა ამას. ხშირად, მხოლოდ ცარიელის თავ-მოყვარეობით, დიდების სურვილით სცდილობს ის სხვა ხალხებისა და ადგილების დაპყრობას, თავისს სახელმწიფოს გაძლიერებას. აქ, არამც თუ სხვა ხალხთ არაფრად არ აგდებენ, ივიწყებენ თვით თავისი საკუთარი ხალხის ინტერესებსაც, და თვისს საპატრიოტო საქმეთ ჰხადიან მარტო სახელმწიფოს სიდიდეს, მისს გარეგანს სანახაობას. ამ გვარი პატრიოტული მისწრაფება იყო ბევრში მიზეზი, რომ დღეს იქამდის მიახწია საქმემ, რომ ერთმანეთის პასუხი, მაგიერის გადახდა, მორევნა შეუძლოთო, თითქმის მთელი ევროპა გადაიქცა სალდათებად, მთელი ქვეყნები სამხედრო ბანაკებად. სწავლა-განათლებას ბევრი დღევანდელი გაძლიერებული სახელმწიფო, შინაური ხალხისა და წარმატებისათვის-კი არ აძლევენ თავისს მცხოვრებთა, აძლევენ თითქმის მარტო სამხედრო გაძლიერებისათვის. და, თუ აქ სწავლა-განათლება აკეთებს რასმე ხალხისათვის, შინაურის საქმეებისათვის, აკეთებს თითქმის შემთხვევით, აკეთებს იმდენად, რამდენადაც ამას ამ სახელმწიფოთა მთავრობანი ჰხედავენ სამხედრო და საომარის საქმისათვის საჭიროდ.

II

ამ გვარმა გარემოებამ, ამ გვარმა პატრიოტულმა მიმართულებამ გამოიწვია რეაქცია. ეს რეაქცია გამოისახა კოსმოპოლიტურს სწავლასა და მისწრაფებაში.

თუმცა იმ გამორკვეულის სახით, რომლითაც დღეს ჩვენა ვხედავთ კოსმოპოლიტობას არის საქმე ახალი, მაგრამ ამასაც შორს ისტორიის წინადროებშივე უდევს სათავე. კოსმოპოლიტური აზრი და მისწრაფება ილვიძებს კაცში იქვე, როდესაც კაცი ისწავლის მიწის ხელს, მეოჯახეობას, ხელოვნებას, მრეწველობას, აღებ-მიმცემობას. ამ გვარს მშრომელს ხალხში, თუ ცხადლივ, გამორკვევით არა, ბუნდად, ინსტიქტიურად მაინც უნდა გაღვიძებულიყო აზრი ერთმანეთის ინტერესების და ნაშრომის დაცვისა იმ პირთა და ხალხთაგან, რომელნიც სცხოვრობდნენ ისევ ძარცვით, ტაცებით, გლეჯით, სხვის ნაშრომით. ნიშნებს ამ გვარის აზრებისას ვხედავთ ჯერ ისევ ინდოთა მანუს წიგნში და შემდგომ ბუთის (Будда) სწავლაში, რომელნიც ჰქადაგებენ ყველა ხალხთა გათანასწორებას, ყველა კაცთა ერთობას. ამ გვარივე აზრები გვესმის ჩინეთის სახელოვანის მეცნიერის და კანონმდებლის კონფუცის სწავლაში, რომელიც სცხოვრებდა 400—500 წ. ქრის. წინად. ის ჰქადაგებდა გიყვარდეთ ერთმანერთი და მთელი კაცობრიობაო. კაცობრიობა არის მთელი და ჩვენ ყველანი ცალ-ცალკე ვართ მხოლოდ ნაწილი ამ მთელისაო. ნიშნებს ამ გვარი აზრებისას ვხედავთ აგრეთვე ისო ზირაქისა და სოლომონ ბრძნის წიგნებშიაც. მე-XVI საუკუნეში ხომ გვესმის ცხადად მოახლოვება გამორკვევით ამ სწავლისა. რეიხლინისა, მუციანისა და მეტადრე ულრიხ-ფონ გუტენის ქადაგებაებში ცხადად ისმის ესა. ეტიენ დე ბოეტიმ ხომ ცხადად წარმოსთქვა საფრანგეთში შემდეგი სიტყვები: „თუ ბუნებაში არის რამ ცხადი და დაუფარავი, რომლის წინ თვალების დახუჭვა ამტკიცებს სიბრმავეს, ეს არის ისა, რომ ბუნებამ, რომელიც აღასრულებს საქმეთა ღვთისათა და განაგებს კაცობრიობას, ყველა კაცნი დაგვბადა ერთი სახით, ერთი სანახაობით იმიტომ, რომ ამითი დავინახოთ, რომ ყველანი ტოლნი ვართ, ყველანი ერთნი ვართ, ვართ ...გნი, ვართ ძმანი და, თუ გაა... ნმე კაცთა შორის სხვაზედ მეტი ... ლითა და გონებით, იმიტომ-კი ა... რომ იმათ ბოროტად ისარგებლ... ამ თავისის ნიჭით სხვათა ... ტროდ, და შეიარაღებულ... კივით, რომელიც ტყის ... გილებში უხვდება უიარ... ვრთა და სძარცვამს, — ... სძარცვიდნენ თავისზედ უძლუ... ეს ძლიერება უფრო იმიტომა... მინიჭებული, რომ ეს თავისი... მოახმარონ უძლურთა საფარვ... უსამართლოთა და მჩაგრავთა ... გმავად... არავის არ უნდა მოუვ... თავში ამ გვარი მზაკვარი ფი... რომ ბუნებას, რომელმაც დაგვბ... ერთის სახისა და სანახაობისანი, ერ... ნი დაებადნოს მონად, მეორენი—მ... უფედ. შემდგომ და შემდგომ, რ... დესაც ევროპაში იგრძნო მეცნი... ბამ თავი ცოტაოდნად მაინც ... თავისუფლად აუტო-დაფეებისა ... ინკვიზიციებისაგან, უფრო ცხადად გ... ისმა ეს სწავლა. კანტმა თავისის გენიალურ ფილოსოფიით, დიდებულმა ლოკმა, რუსომ, ფიზიოკრატთა თავმა მოძღვარმა კენემ და ენციკლოპედისტთა ცხადაც ამართეს იმისი დროშა. „Encyclopedie metodique“-მ ხომ განაცხადა: „ბედნიერება ყველ...

...მცინარეთა საქმის მოღვაწეთა კრება, რომელიც 24 იანვარს უნდა დაიწყოს, თითქმის 300 კაცისაგან შესდგება. ამ კრებამ სხვათა შორის შემდეგი საგანი უნდა განიხილოს: შავისა და ბალტიის ზღვათა შორის გემების მიმოსვლის შესახებ; გემებზედ სათადარიგო წყლის შესანახავების დაარსების შესახებ; განიხილავს აგრეთვე იმ საგანსაც, რომ აუცილებლად დაზღვევდეს ხოლმე გემის მოსამსახურენი და სხ.

**პარიზი.** ახალმა სამინისტრომ პირველ ვალად ჩასთვალა, რომ პარლამენტში წინადადება შეიტანოს საპოლიტიკო დამნაშავეთა პატივების შესახებ.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდის. ცისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. ...ეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** ...—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ა. ფ. ზრაჩტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ...რის და გულ-მკერდისა.

**ზ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

---

ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭო აცხადებს საყოველთაოდ, რომ კავკასიის მთავარმართებელმა გენერალ-ადიუტანტმა შერემეტევმა ნება დართო ამ საზოგადოებას, გაჰმართოს ბაზარი საყმაწვილო დღესასწაულითა და ლატარიით თებერვლის 10-სა, 11-სა და 12 რიცხვებში. ამ სამს დღეს მისი მაღალ-ყოვლად აღმატებულება სასახლის დარბაზებს საზოგადოების საბჭოს უთმობს, რომლებშიაც სხვა-და სხვა ნივთები გაიყიდება ტფილისის საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. საყმაწვილო მომგებიან ლატარიის გარდა, საზოგადოების საბჭო გაჰმართავს რამდენსამე ფარდულს და მშვენივრად მოაწყობს.

1) იქნება გამოკიდული სხვა-და-სხვა საუცხოვო ხელთ საქმე და საყმაწვილო ქარგით სადად ნაკერი ტანთსაცმელი.

2) ფარდული მშვენიერის ნივთებისა, სურათებისა და ავეჯეულობისა.

3) ფარდული სხვა-და-სხვა ზომის ტიკინებისა, სხვა-და-სხვა საერო ტანისამოსითა და მორთულობით გამოწყობილი.

4) ფარდული სათამაშოებისა.

5) ფარდული ყვავილებისა და 6) კანფეტებისა.

საბჭო სთხოვს ყველა ქველ-მომქმედთ, არ დაიშურონ თვისი შემოწირულება ზემოდ აღნიშნულის ნივთებისა და 3-სა ან 4 თებერვლამდის წარმოადგინონ, რომ 9 თებერვლისათვის საქმის გამგეთ შეეძლოთ გამოფენა ნივთებისა.

საბჭო სთხოვს ყველა შემოწირულებანი თავმჯდომარეს ევდოკია ბორისის ასულს შერემეტევისას და უმცროსს თავმჯდომარეს ს ქველ-მოქმედო საზოგადოებისას კნეინა ანნა ალექსანდრეს ასულს ამილახვარისას წარუდგინონ: პირველს სასახლეში, ხოლო მეორეს ძველ ინსტიტუტის ქუჩაზედ, სახლი № 15.

(1—1)

---

**1895 წ.**

დაიბეჭდა და დაურიგდა ხელის-მომწერლებს

# მოამბე

იანვრის წიგნი

შინაარსი:

I „ხის ბეჭი“, პოემა ვაჟა-ფშაველასი; II „რაშია ბედნიერება?“, ზღაპარი დიკენსისა, თარგმ. კონ. ნიკოლაძისა; III „პატარა რომანი“, მოთხრობა მატილდა სერაოსი, თარგმანი; IV „აივენგო“, რომანი ვალტერ სკოტტისა, თარგ. (გაგრძელება); V „ცეცხლითა და მახვილითა“, რომანი ჰენრიხ სენკევიჩისა, თარგ. გრ. ყ—ძისა (გაგრძელება); VI „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგიო და საესტეტიკო მნიშვნელობა“—III.—მ. კელ—ძისა; VII „ევოლიუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში მე-XIX საუკუნეში“—III, IV.—კიტა აბაშიძისა; VIII „რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოყენება“—I.—რძე, მისი თვისება, შედგენილება, წარმომავლობა და გარემოებანი, რომელთაც იმის თვისებასა და შედგენილებაზედ რაიმე გავლენა აქვთ.—პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა; IX „ბიბლიოგრაფია“—М. Плохинскій—Поселеніе грузинъ въ Малороссіи въ XVIII в.—Е. Такайшвили—Сигель грузинскаго царя Баграта IV (1827—1072).—წმ. დიდი მოწამე, კახეთის დედოფალი ქეთევანი.—К. Н. Бѣгичевъ—Разведеніе чайнаго куста на Кавказѣ; X „შინაური მიმოხილვა.—ქართული მწერლობა.“—მწერლობის საჭირო მასალა.—ქართველს კაცს ხელმძღვანელი აკლია.—ჩვენის მწერლობის ამაგი.—საზოგადოებამ მწერლობას გაასწრო ზრდაში.—ორი ტიპი გაზეთებისა.—ჩვენ პარტიული გაზეთები გვეჭირვება ეხლა.—მათი ავი და კარგი.—აშკარა ძოლა-კი არა, მელური ჰრყვნის მწერლობას.—მობრძანდით, იბრძოლეთ!—ნ. ნიკოლაძისა: XI „ჩემი დღიური.—საახალწლო“ კარგი ჩვეულება.—ნუ წავბაძავთ.—როგორ მოვიდა წარსული წელიწადი.—ბ-ნი გუნია და მისი კალენდარი.—ჩვენი „მოღვაწენი“.—რით არიან თურმე ისინი შესანიშნავი.—წინასწარმეტყველებანი ახალის წლის გამო.—ახალი ქარი და მისგან აღძრული იმედი მისამკვლევი.—ი. ხონელისა XII „უცხოეთის მიმოხილვა.—წარსული წელიწადი.—ნ. ნიკოლაძისი. XIII განცხადებანი.

წლიური ფასი ჟურნალისა გაგზავნით 10 მანეთი.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილ: პირველში 4 მან., 1 აპრილამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე 3 მან.

წარსულის 1894 წლის „მოამბე“ ჰღირს 10 მანეთი გაგზავნით.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |

---

გამოვიდა და ისყიდება
ზაქარია გრიქუროვის „კავკაზის“ წიგნის მაღაზიაში მის მიერ გამოცემული
არ. ქუთათელაძის

# გრამატიკა

ფასი ორი აბაზი

(3—6.—2)

---

# ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

---

...კაცისა არის დამოკიდებული ...კაცობრიობის ბედნიერება ...და არ გასულა ამის შემ...ე ხანი, რომ საფრანგეთმა ...ავალდებულოდ გამოაცხადა ...ლარაცია კაცთა უფლებათა“, ...რითაც აღიარებდა ყველა ხალხ...ა კაცთა შორის თანასწორო...ბას.

...ლტრუიზმულთა გულის ...თავი დავანებოთ, უბრა...კრს აზრსაც უნდა დაე...ა კაცი ამ გზაზედ. ამ ბრძო...ა ერთმანერთის შთანთქმაში ...იყო განსაცდელს გარე. ყვე...ისი თავით, ცოლით, შვი...ლობლით, მეგობრით, სარ...ცოვრებლით, მონაგარით, ნა...თ ყოველთვის შიშსა და სა...ში იყო ამ საშინელს წესში. ...ხვალა ჰქონდა დაკარგული. ...არა, უნდა აღძრულიყო კაცთა ...ის ზრუნვა, რომ ერთი და ერთი ...ოდა დასასრული ამგვარს ცხო... უკეთესთა მოაზრეთა, ფილო...სთა, საკაცობრიო მოძღვართა, ...აც მოღვაწეობა ამ საქმეზედ. ჯერ ...ისევ ძველად შესდგნენ რელიგიურნი სწავლანი, რომელთაც ჰსურდათ კაცობრიობის გაერთება რელიგიური ერთობით მაინც არის. შესდგა ფილოსოფიური, ეკონომიური, სამეცნიერო სწავლა ამაზედ. ლოღიკა, საღი გონი და აზრი ამას ყველას უწყობდა ხელსა. იწყო გავრცელება იმ აზრმა, რომ კაცი ყველგან კაცია და ყველა კაცი კაცია. ყველა კაცი კაცს კაცურად უნდა ექცეოდეს, კაცურად უყურებდეს, კაცურადა სცემდეს პატივსა. იწყო წარმოთქმა ამ გვართა აზრთა: იმის მაგიერათ, რომ ამოდენა სწავლა, მეცნიერება, ტეხნიკა მოაცდინოს კაცმა ერთმანეთის ამოსაწყვეტი და გასამუსრი იარაღებისა და სახსარის მოგონებაზედ; იმოდენა მუშა ხელისა, მასალისა, სარჩოსი და საცხოვრებლის საომარს საქმეზედ მოხმარებას,—ყველა ერებმა რომ მოიხმარონ ესეები შინაური საქმეების წარსამატებლათ, ხალხის სწავლასა და გამეცნიერებაზედ,—ვნების მაგიერათ მოიტანდა სარგებლობას, ხალხები იქნებოდნენ ბედნიერნი და წარმატება სოფლისა ერთი ათათ ერთი ასად წინ წავიდოდაო. აქედამ შესდგა აზრი ჯერობით, რომ ერთა შორის თავისუფალი ვაჭრობა დაწესებულიყო და შემდგარიყო ფედერაცია კაცობრიობაში ვაჭართა შორის. ამას იქით შესდგა აზრიცა მთელი საკაცობრიო ფედერაციასაც, რომ მოჰღებოდა ბოლო ამგვარს არაკაცურს ცხოვრებას, რომელსაც წარმოადგენდა კაცთა შორის ბრძოლა, კაცთაგან ერთმანერთის მუსრვა, შეიწროება. ამას, ცხადია, უნდა მოჰყოლოდა ის აზრიც, რომ ის ძალა, სახსარი, ცდა, რაცა ჰხმარდება ერთმანერთის ჟლეტას, ჩაგვრას, სისხლის ღვრას,—მოჰხმარდებოდა ბუნებასთან ბრძოლას, ბუნების მოვლენათა და კანონების დამორჩილებას, შესწავლას. ის საფრთხობელა, რომელიც მალტუსის შემდგომ გაისმოდა: ხალხთა გამრავლება სავნებელია კაცობრიობისათვის, რომ ბუნება დიდი ხალხის სიმრავლეს ვერ გაუძლვებაო,—გამოდგა სრული შეცდომა, დამტკიცდა სულ სხვა. პირიქით დამტკიცდა, რომ, რაც უფრო ბევრია ხალხი, იმდენი უფრო ადვილი მოსაარშიებელი და დასამორჩილებელია ბუნება. იმდენი უფრო ადვილია მოვლა და მომზადება ბუნებისაგან გამოტანილი მასალისა, იმდენი უფრო მოვლა აქვს ბუნებას, და მის გამო უფრო უხვად იძლევა ნაყოფსა, იმდენი უფრო უხვად მზადდება კაცის სახმარი სარჩო—საცხოვრებელი.

მაშასადამე, ხალხნი ერთმანერთის ჟლეტით, ერთმანერთის ტყვევნით, შეიწროებით, კლებით, რაც ზარალს არა, მოგებას არა ჰნახამენ. ცხოვრების დაკვირვებას აგრეთვე უნდა დაეყენებინა გონება იმ აზრზედ, რომ, ვიდრე არიან უბედურნი, ბედნიერება სხვათა ან შეუძლებელია, ან არ არის სრული. ვთქვათ ერთს რომელსამე ხალხს უპყრია იმგვარი წესები, წყობილებანი, გარემოებანი, რომ შეუძლიან ბედნიერად ცხოვრება. ამ ბედნიერს გარემოებაში მყოფს ხალხს ახვევია გარს უშვერი, უძლური, ცუდი წესებისა და წყობილების მქონე, მშიერი შეუგნებელი ხალხები, რა წარმოსდგება ამ გვარი მეზამლობიდამ? ცხადია ამ ცუდს გარემოებაში მყოფს ხალხს აიძულებს სიმშილი, უშვერობა, შეუგნებლობა შეაწუხონ ეს ბედნიერს გარემოებაში მყოფნი ხალხნი. თუ ცხადლივ ვერ შეჰბედვენ, მალვით მაინც არ დაიშლიან მათი სარჩო-საცხოვრებლის ტაცებას, პარვას, მათს წახდენას, თვით მათი კულტურის შემუსრვას. ბედნიერს გარემოებაში მყოფს ხალხს აქ მეტი გზა არა აქვს, უნდა ნიადაგ ამ გვარი ხალხების და რაჯობასა და დევნაში იყვეს. ამაში ის უნდა აცდენდეს მრავალს ხალხს, მრავალს იარაღს, მასალას, შეძლებასა. ეს, ცხადი საქმეა, გააჩენს ნაკლებულობას, ნაკლებულობას მოჰყვება უთანასწორობაც წოდებაებში, უშვერებაც და სხვა ათასი კაცთა ღირსებისა და შეძლების დამამცირებელი საქმენიცა.

გადავიდეთ სხვა სავნებელს მხარეზედ. ბუნების კანონია, როგორც ქვემოთაც გვექნება ამაზედ ლაპარაკი, რომ კარგი დედმამისაგან, კარგი მოდგმისაგან კარგი შთამომავლობა ჩამოდის, ცუდისაგან—ცუდი. თუ კარგს სისხლში შეერია ცუდი, მაშინ კარგი სისხლი მდარდება. კარგს გარემოებაში მყოფი გამოდის გონებითაც, ზნეობითაც, აგებულებითაც კარგი, უფრო სრული; ცუდს გარემოებაში მყოფი გამოდის ნაკლებულებით სავსე. რადგან კარგს გარემოებაში მყოფი ხალხი ვერ ასცდება ამგვარი ხალხების მეზობლობას, მეგობრობას, აღებ-მიმცემლობას, მისვლა-მოსვლას, ამის გამო აუცილებელია ამათი ერთმანერთში დამოყვრება, დანათესავება. რა წარმოსდგება აქედამ? ისა, რომ ცუდი და დაბალი თვისების ხალხი ცუდს თესლს შეიტანს კარგსა და მაღალის თვისების ხალხში, მოსწამლავს და დაამცრობს მის შთამომავალს. უეჭველია ეს შეაფერხებს კეთილს გარემოებაში მყოფს ხალხს, როგორც ბუნებასთან ბრძოლაში, ეგრეთვე გონებისა და აგებულობის წარმატებაში.

ანტონ ფურცელაძე

(შემდეგი იქნება)

Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Января 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.